

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტებისა და სხვა სამუშაოთა შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

## ო ძ მ ო № 1

ზუგდიდი

21 იანვარი 2014 წელი

### სხდომას ესწრებოდნენ:

1. გრიგოლია ლელა – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
2. ქეთინო ჯანჯღავა – სატენდერო კომისიის წევრი - სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის მთ. ბუღალტერი.
3. სანდრო გოგია – სატენდერო კომისიის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის მთ. სპეციალისტი
4. ინგა შეროზია – კომისიის აპარატის წევრი სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის წამყვანი სპეციალისტი.

**დღის წესრიგი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების შემდეგი კოდების მიხედვით 03100000; 03200000; 03300000; 15100000; 15300000; 15400000; 15500000; 15800000 გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების მიზნით განცხადებების და სატენდერო დოკუმენტაციების დამტკიცების შესახებ.





**მოისმინეს:** დღის წესრიგთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის ლელა გრიგოლიას ინფორმაცია და ასევე წარმოადგინა დასამტკიცებლად ტენდერის ჩატარების განცხადებების ტექსტები და სატენდერო წინადადებები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა, რომლებმაც განიხილეს წარმოდგენილი განცხადებები და სატენდერო წინადადებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადება კვების პროდუქტების შესასყიდად წარმოდგენილი კოდების მიხედვით.

კომისიამ გადაწყვიტა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განცხადებები და სატენდერო წინადადებები (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო წინადადებები თან ერთვის).

დაევალოს კომისიის აპარატს: განცხადების ელექტრონულ სახელმწიფო შესყიდვის სისტემაში განთავსებისთვის ატვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოსაცხადებლად არაუგვიანეს 2014 წლის 21 იანვრისა

რასაც ხელს ვაწერთ:

1.  /ლ. გრიგოლაია/
2.  /ქ. ჯანჯღავა/
3.  /ს. გოგია/
4.  /ი. შეროზია/